




საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოლომდე ბეჭდუბი სიფყავა, ცუდილებით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისბაზე უსაბაგლესია.



დაარსებულია
 1918 წელს.
 

სამუშაოთი, **16** დეკემბერი, 2014 წელი.
 №253 (7634)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ასალეთ ბიძინას კომპოსტოს მოყვანა!



3

ნულოვანი ჯამის თაბაში,

ანუ **4**


საზოგადოება - ვირტუალური სამოქალაქო კონფლიქტის მდგომარეობაში

სულხან **7 მოლაშვილი**

სამართლებრივი პროცედურების მოგვარებისთვის ემზადება

პატრიარქი საყდრისში მომხდარ ავითქებას გომოს და დაგნაშაპის დასჯას ითხოვს

პატრიარქი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ აქტის ჩამდენმა სათანადო სასჯელი მიიღოს. „საყდრისთან დაკავშირებით არსებობს პრობლემა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საყდრისი. ამას ამბობენ მეცნიერები, რომ ეს არის უძველესი ოქროს საბადო საქართველოში. ამ დღეებში მოხდა აფეთქება და საქართველოს ეკლესია გომოს ამ აქტს. ჩვენ ვგმობთ ამ აქტს და იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს აფეთქება მოახერგა. ჩვენ ვთხოვთ ხელისუფლებას, რომ გამოძიებული იყოს, რათა დადგინდეს აქტის ჩამდენი და სათანადო სასჯელი მიიღოს“, – ბრძანა პატრიარქმა.



საქართველოს საპატრიარქო საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც აქვე უცვლელად გთავაზობთ:

„კომპანია „RMG GOLD“-ის მიერ საყდრისის ოქროს მადაროს მოულოდნელი აფეთქების ფაქტმა საერთო დიდი შუშოფთება გამოიწვია. როდესაც მეცნიერები, დარგის სპეციალისტების დიდი ნაწილი, სამოქალაქო საზოგადოება ეწინააღმდეგებოდნენ მის დანგრევას, როცა საერთაშორისო ექსპერტებმაც ეს სივრცე კულტურის ძეგლად აღიარეს (რომ აღარაფერი ვთქვათ მის მსოფლიო მნიშვნელობაზე), გაუგებარია, როგორ შეიძლება მის დანგრევაზე ნებართვა გაცვა კულტურის სამინისტროს.

თუ საყდრისი არ უნდა ყოფილიყო დაცვის ობიექტი, მაშინ შესაბამის სტრუქტურებს უნდა ჩაეტარებინათ ახსნა-განმარტებითი საუბრები, რომ ხალხი დაერწმუნებინათ თავის სიმართლეში და შემდეგ განეხორციელებინათ ნებართვის გაცემა და აფეთქებებიც.

არასწორად მიგვაჩნია საყდრისის ერთი ბორცვის (კვლევის სფერო 1 ჰა) აუთისებლობის მიზეზით „RMG GOLD“-ში დასაქმებული მოქალაქეებისთვის ფინანსური პრობლემების შექმნაც, რაც, ფაქტობრივად, ჩვენთვის ცნობილი მთავარი მიზეზი გახდა საყდრისის იავარქმისა.

ამ ადგილის თაობაზე შეფასებები საბოლოოდ დამტკიცებული რომც არ ყოფილიყო, კომპანიას, რომელსაც აქვე აქვს სხვა დიდი ტერიტორიები ოქროს მოპოვებისათვის, საჭევნო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც უნდა მოეხერხებინა ალტერნატიული გზების გამოძებნა, რათა ხალხი უხელფასოდ არ დარჩენილიყო და, სხვა თუ არაფერი, თავისი თავისთვისაც პრობლემები არ შეექმნა.

დღეს კი შედეგად გვაქვს სახელმწიფოებრივი აზროვნების წინააღმდეგ გაკეთებული ყოვლად გაუმართლებელი ქმედება. საქართველოს ეკლესია გამოთქვამს დიდ ნუხილსა და გულისტკივილს მომხდარის გამო“.

ჩემთვის უწინდესი აზრს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე საყდრისთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას იღებს, – ამის შესახებ მინისტრმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

მიხეილ გიორგაძემ კომენტარი გააკეთა პატრიარქის საკვირაო ქადაგებაზეც და განმარტა, რომ ის აუცილებლად გააცნობს პატრიარქს საქმის დეტალებს.

„ჩემთვის უწინდესი აზრს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და პირადად მას აუცილებლად გავაცნობ საქმის დეტალებს. ასევე იმას, თუ რის საფუძველზე მიიღო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ეს გადაწყვეტილება, ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ჩემი ბრძანება გამოიცა. ეს გადაწყვეტილება სააგენტომ კანონის სრული დაცვით მიიღო. დოკუმენტური მასალები გახლავთ ის დასკვნები, რომელიც გააჩნია საბჭოს. ეს საკითხი ასევე გატანილი იყო ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოზე და იქ იყო განხილული. იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომელთაც ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მიღება ევალებოდათ, არც რაიმე სახის პროტესტი და არც ალტერნატივა შემოთავაზებული არ იყო. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, ადამიანი, რომელიც კულტურის მინისტრია, თავის ქმედებებზე პასუხისმგებლობას იღებს“, – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

ყველა ნათელი საქმის წინააღმდეგ სიყვარულია...

პირველი ქართველი მოქანდაკე ქალი



5

საით მიამხნებს საქართველოს პოლიტიკური აისბერგი?



მეზარ ჯგერინაძე: „შავი პარასკევი“ შეიძლება, საქართველოს ორშაბათ-სამუშაბათიდან გაუთინდეს“



7


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ წახავ!

ღვანული

ყველა ნათელი საქმის წინამძღოლი სიყვარულია...

წიგნი, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს, ბევრ რამეს მახსენებს. სამხატვრო აკადემიაში არ ვსწავლობდი, მაგრამ ვაპირებდი და ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში (დღეს შალვა ამირანაშვილის სახელობის) ხშირად დავდიოდით. აქ ჩემი საყვარელი მხატვრები და მოქანდაკენი მეგობრობდნენ. მათ შემოქმედებაზე თითქმის ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ, როცა მივუახლოვდებოდი შესანიშნავ ნაქანდაკარს მარმარილოში – მხატვარ „აკოპჯან გარიბჯანიანის პორტრეტს“ და თვალს მოვკრავდი წარწერას, მოქანდაკე ნინო წერეთელი, სულ მინდოდა გამეგო, თუ ვინ იყო იგი, ჰქონდა კი სხვა ნამუშევრები? ვისაც ვივითხოვდი, საკმაოდ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. სტუდენტობის დროს ბევრი რამ გავიგე და ვნახე კიდევ: პირველად ბატონ ვახტანგ ბერიძისაგან მოვისმინე, რომ იგი იყო პირველი ქალი მოქანდაკე, ამავე დროს, უზომოდ ნიჭიერი, რომელსაც ბედისწერამ ცხოვრების მოკლე დრო არგუნა, მაგრამ როგორც ვხედავთ, ამ მოკლე დროში მან შესძლო დაემტკიცებინა თავისი ნიჭიერება და დაგვიტოვა საინტერესო მალაქმხატვრული ხელოვნება.

პირველი ქართული მოქანდაკე ქალი



პირველი ქართული მოქანდაკე ქალი = 110

შემქნილა, დეკორატიული, თამამი. გრაფიკული ნამუშევრები, პორტრეტები თუ ჩანახატები, აკვარელში ბრწყინვალედ შესრულებული სურათები, – ქალბატონმა ნინომ ყოველივე ეს ძალიან მოკლე დროში შესძლო. ნუ დავივიწყებთ, რომ ამავე დროს ის პოეტიკა, იმდროინდელმა საზოგადოებამ მოქანდაკის მრავალმხრივი შემოქმედება მის სიცოცხლეშივე დაინახა და დააფასა. იმდროინდელ პრესაში მის ირგვლივ ბევრი რამ იწერებოდა, ლექსებიც ქვეყნდებოდა. დღეს ახალგაზრდობა მოკლებულია წარსულთან სიახლოვეს მთელ რიგ მიზეზთა გამო, სწორედ ამიტომ მათ ეს ნიგნი დასაფასებელი, იგი გვაძლევს პირველი ქალი მოქანდაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი ოჯახის წარმომავლობას, დედ-მამასა და ახლობლებს. ქალბატონი ნინოს მეტადელო ყოფილა დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, აღმზრდელი ჩემი თაობის და მთელი შემდგომი თაობებისა. სამხატვრო აკადემიის პროფესორი და ქართული ხელოვნების დიდი მოამბე, წინამდებარე ნიგნში გვხვდება ისეთი ნამუშევრებიც, რომლებიც დროის სიმუხთლის გამო დაკარგულია. ნიგნში ვკითხულობთ ქალბატონ ნინოზე მოგონებებს, წერილებს, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ნიგნით ფართო საზოგადოება გაეცნობა მის მოღვაწეობას. ქალბატონი ნინო იღვწოდა მაშინ, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი ქანდაკებას შიშით შესცქეროდა; იმ დროს ჯერ კიდევ საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის მეფეებისა და კინტოს შემორჩენილი უხამსი ხუმრობები სულიერ საზრდოს წარმოადგენდა... მან იღვანა იმ დროს, როცა ხელისუფლების რეჟიმი კრძალავდა ყოველგვარ თავისუფლებასა და სიახლეს ხელოვნებაში; ამ ვითარებაში იგი ცდილობდა, რომ სამშობლოსთვის რაც შეიძლება მეტი შემოქმედება დაეტოვებინა, მაღალმხატვრული, ნათელი და სიყვარულით სავსე. თუმცა, ერთგან ის სინანულით ამბობს, რომ ვერ ახერხებს იმის კეთებას, რაც უნდა რომ გააკეთოს. ჩემი აზრით, მოკლე დროში მან ბევრი რამ გააკეთა! მაგალითად ამ ნიგნის შემდგენელ რედაქტორ-გამომცემლებს, ქალბატონ ლია მელიქიშვილს (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და ბატონ ჯუანშერ ამირანაშვილს (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი). მაგალითად მოქანდაკე ნინო წერეთლის ძმისშვილს – ავთანდილ წერეთელს და ძმის შვილიშვილს – ვახტანგ წერეთელს ამ დიდებული საქმისათვის, ნიგნის დაბეჭდვისათვის.

მერაბ ბერძენიშვილი.
2.12.14.

P. S. ბარბაქაძე იმისა, რომ ამ ნიგნით საზოგადოება გაეცნობა მოქანდაკის ღვანლს, რომელმაც დაგვიტოვა მისეული მაღალმხატვრული ხელოვნება, ვხიარება მის საინტერესო ლექსებს, ეს ნიგნი იმასაც გაახსენებს მკითხველს, რა რიდიტა და მოწინებანი ურთიერთობდნენ ქართველები ერთმანეთს. იმასაც დაინახავენ, რომ ყველა ნათელი საქმის წინამძღოლი სიყვარულია. კიდევ ერთხელ მაგალითად მომხსენებია ამ ნიგნის გამო.

სტუმარი

„დიდ არქიტექტორებს“ ხელვას უნუნებან

იმ პერიოდში, როდესაც „ნაცებმა“ სრულად იგდეს ხელთ სამშენებლო მონოპოლია, სფერო სრულმა ანარქიამ მოიცვა, ყველგან და ყველადნენ ისტორიულ ძეგლებს, ადგილობრივი მცხოვრებლების აზრს. არქიტექტორების, ისტორიკოსების და სხვათა მოსაზრებები ხომ ნაცონალისტებისთვის არაფერს ნიშნავდა. საკითხისადმი ზერელედ მიდგომის აშკარა გამოხატულება იყო ის, რომ „ვარდუკლიანების“ მმართველობის პერიოდში თბილისის არქიტექტორად არ დანიშნულა პროფესიონალი. ამის გამოც იყო იგნორირებული ამ პიროვნების, ურბანისტთა, მკვლევართა, ისტორიკოსთა, მეცნიერების დამცველთა და სხვათა მოსაზრებები. სამაგიეროდ, წარმოჩინდნენ ახალი ეპოქის ფენომენები – სააკაშვილები, უგულავები და მათთვის თვალეში შემოვიცინე და კუდის მოქიციანე „პროფესიონალები“. მათ ჩამოჰყავდათ თავისივენი ირი „საკვეყნოდ ცნობილი“ არქიტექტორები და სხვა დარგის „პროფესიონალები“ და „შეფის“ დაკვეთითა და შეხედულებებით აშენებდნენ უსახურ ნაგებობებს, რომლებიც, მართალია, თავისთავად ცუდი არ იყო, მაგრამ აშკარად არ შეესაბამებოდა თბილისის არქიტექტურულ იერსახეს, ამბობენ ამ საქმეში ჩახედული ადამიანები.

ერთი ხელის მოსმით ძველი უბნების დანგრევას და მათი ახალი შენობებით ჩანაცვლებას, მით უმეტეს, როდესაც დედაქალაქის შემოგარენი აუთვისებელია, კრიტიკულად არა მხოლოდ ჩვენს, არამედ უცხოელი სპეციალისტების უდგებიან.

არქიტექტურის ისტორიკოსი, მკვლევარი, ურბანული მემკვიდრეობის დაცვის ადვოკატებისა და კანონმდებლის ამერიკელი ექსპერტი ტარა მელი, საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და ფონდ „საქართველოს მეგობრების“ პოლიტიკური პროექტის „კულტურული მემკვიდრეობა“ – ზოგადსაგვაროებო ფასეულობების მონიტორინგის ჩამოყალიბების მიზნით, ამ პერიოდისათვის საქართველოსთვის, კერძოდ თბილისისთვის, კულტურული მემკვიდრეობის დანგრევას და მათი ახალი შენობებით ჩანაცვლებას, მით უმეტეს, როდესაც დედაქალაქის შემოგარენი აუთვისებელია, კრიტიკულად არა მხოლოდ ჩვენს, არამედ უცხოელი სპეციალისტების უდგებიან.

რეობის შენარჩუნება საკმაოდ კრიტიკულია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არ მარტო კულტურული მემკვიდრეობის იერსახის შენარჩუნება, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი დეტალებიც, როგორცაა მასალა და ტექსტურა, ანუ პატარა დეტალებიც კი, რაც ამ გარემოს აუთენტურობას ქმნის, ვინაიდან თუ მსგავსი დამოკიდებულება არ იქნა, ეს დეტალები დაიკარგება და მას ველარასოდეს აღადგენთ. არქიტექტორი გვიზიარებს თავის გამოცდილებას და ამბობს, რომ მსგავსი პრაქტიკა არა მხოლოდ მის სამშობლოშია მიღებული და აპრობირებული, არამედ მსოფლიოს სხვა მსხვილ ქალაქებშიც. სამაგალითოდ ისტორიკოსს მოჰყავს პარიზი, სადაც დღეს ისტორიული უბნები და კულტურული მემკვიდრეობა პირველადი სახით არის შენარჩუნებული, ხოლო თანამედროვე არქიტექტურა ქალაქის გარე უბანშია გადატანილი. ეს ეკონომიკური განვითარებისა და აღმავლობის მთავარ ამოსავალ პრინციპად მიიჩნია ჩვენს სტუმარს, ვინაიდან ამგვარი მეთოდი ტურიზმისა და ბიზნესის პირველი წყაროა. იგი გვიჩვენებს, მოხდეს ქალაქის ისტორიული უბნების შენარჩუნება-პრეზერვაცია.

ურბანული მემკვიდრეობის დაცვის ადვოკატებისა და კანონმდებლობის ამერიკელი ექსპერტი საზგასმით აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში, საკანონმდებლო ბაზის შექმნაში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას. დღეს აშშ-ში ნებისმიერი ნაგებობისთვის ძველის სტატუსის მინიჭების პროცესი სრულიად გამჭვირვალეა და თითოეული ადამიანის აზრი განხილვის დროს მნიშვნელოვანია, – ამბობს ტარა მელი და იმედს გამოთქვამს, რომ მისი ორგანიზაციის ურთიერთობა საქართველოსთან ჯერჯერობით გაცნობითი სახისაა და თუ ორმხრივი დაინტერესება იქნება, ის აუცილებლად გაფართოვდება, რაც ამერიკული გამოცდილება და პრაქტიკის საქართველოსთვის გაზიარებას ნიშნავს.

ზაზა ბილინიძე

საბანკო სფერო

კომერციული „პორტალი“

დეკემბრის დამდეგს საქართველოს კომერციული ბანკების „ოჯახში“ მეტად საგულგნო რამ მოხდა: ქვეყანაში უდიდესმა „საქართველოს ბანკმა“ უკრაინული „პრივატ ბანკის“ ქართული შვილეს „პრივატ ბანკის“ აქციონათა სრული პაკეტი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ აქტივების სიდიდით, საქართველოში მოქმედი ორ ათეულზე მეტ კომერციულ ბანკს შორის „პრივატ ბანკი“ მეცხრე ადგილზეა, ბაზრის სამომხმარებლო წილის მიხედვით კი, მას მეოთხე ადგილი უკავია. ამ შენაძენით, „საქართველოს ბანკის“ საბაზრო წილი ფინანსური პირების სესხების მიხედვით 5,3 პროცენტით, ხოლო მათი დეპოზიტების პარამეტრით 2,6 პროცენტით გაიზარდა.

„პრივატ ბანკის“ შესყიდვის შემდგომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საქართველოს ბანკის“ კოზიციები მთელი რიგი მიმართულებით უფრო მეტად გაძლიერდება.



განსაკუთრებულად აღსანიშნავი ის, რომ წლების მანძილზე „პრივატ ბანკი“ აქციონერებულად სასესხო პროდუქტებზე იყო ორიენტირებული და ბალპროცენტიანი საბანკო საკრედიტო ბარათების გავრცელებით, ბაზარზე სამომხმარებლო წილის თითქმის გაორმაგება შეძლო და ამჟამად, როგორც უკვე ითქვა, თითქმის მეოთხედის მფლობელია. ამას ის გარემოება უწყობს ხელს, რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დიდი სიდუხჭირის მიუხედავად, სასესხო პრო-

დუქტს, ბოლო გამოკვლევების თანახმად, მინც 65 პროცენტზე მეტი მოიხმარს.

ასევე გაფართოვდა „საქართველოს ბანკის“ მომსახურების ქსელიც, რომელსაც უწინ „პრივატ ბანკის“ კიდევ 93 ფილიალი შეემატა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა სწრაფი გადახდების ქსელი, რომლის შემაღელობაში დამატებით შევიდა 429 ბანკომატი და 1929 თვითმომსახურების ტერმინალი. ხსენებული სიახლეების გარდა, „საქართველოს ბანკში“ გაისადსაგრძობი სტრუქტურული ცვლილებებიც განხორციელდება. ბანკის ხელმძღვანელობის განცხადებით, მისი სტრუქტურა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალ მოთხოვნილებების შესაბამისად გარდაიქმნება. აღნიშნული ცვლილება, კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობასთან დაკავშირებით დაწესებულ შეზღუდვებს ეხება, რის შესახებ ცოტა ხნის წინათ, ჩვენს პუბლიკაციაში გვქონდა ლაპარაკი. კერძოდ, ბანკის სტრუქტურის განახლება მის იურიდიულ რესტრუქტურის მიზანმიმართულ განახლებას დასახელებულ სახეობის ბიზნესის საინვესტიციო მიმართულებად ჩამოყალიბდება და თავის მოღვაწეობას სრულიად ავტონომიურად განაგრძობს. ეს პროცესი 2015 წლის მანძილზე გაგრძელდება.

ინფორმაცია თემაში

სადღესოდ „საქართველოს ბანკში“ ანგარიში გახსნილი აქვს 1,4 მილიონ კაცს. ქვეყანაში მოქმედებს „საქართველოს ბანკის“ 217 სერვისცენტრი, 521 ბანკომატი და 2217 თვითმომსახურების ტერმინალი. ბანკის აქტივები მთლიანად ბაზრის 31,6 პროცენტია და დაახლოებით 6,05 მილიარდი ლარია.

ოთარ ტურაბაილიძე

აქტუალური თემა



მზარ ჯგერენია: „შავი პარასკევი“ შეიძლება, საქართველოს ორშაბათ-სამშაბათიდან გაუთენდეს

მაქონომიკის დოქტორი, თსუ-ს პროფესორი მზარ ჯგერენია ქართული ეკონომიკური კრიზისის მიზეზებზე გვესაუბრება

– ბატონო მზარ, რატომ ვერ ახერხებენ სამინისტროები და სხვა უწყებები საბიუჯეტო თანხის ათვისებას და რა დგას ამის უკან?
– ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, რომელშიც პროექტების უმრავლესობა თავმოყრილი, რეორგანიზაციას ვერ ახერხებს. მეორე, ყველა უბედურების სათავე NDF-ია, ეს არის ე.წ. განვითარების ფონდი – ჩაკეტილი ორგანიზაცია, რომელიც ტენდერებით „თამაშობს“ და რომელსაც მე-5 ადგილზე გასული კონკურსანტი 1-ლზე გადმოჰყავს და გამარჯვებულებს სატენდერო კონკურსებიდან ხსნის! სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს NDF, რომელშიც მხოლოდ კეზერაშვილს დაქვემდებარებული 3-4 ფირმა იგებს ტენდერებს და ყველა უწყებამ თვითონ უნდა ჩაატაროს ის.
– სავარაუდოდ, ვინ აგებს პასუხს ლარის კურსის ხელოვნურ (თუ ეს ასეა) გაუფასურებაზე. შეიძლება თუ არა მისი კურსის უფრო დაბალ ნიშნულზე დატოვება და არის თუ არა ლარის დღევანდელი მდგომარეობა მისი ხელოვნური დევალვაცია?

– ლარის კურსის დევალვაცია ხელოვნური პროცესი არ არის. ამის ერთ-ერთ მიზეზი ექსპორტისა და იმპორტის შემცირება და ინვესტიციების ნაკლებობაა და ამაზე ეროვნული ბანკი აგებს პასუხს.
ლარის გაუფასურება რუსეთში არსებულმა კრიზისმა გამოიწვია – ბევრი ინვესტორი რუსეთიდან გვეყავდა, ჩვენი მოქალაქეებიც რუსეთში მუშაობენ და ტრანსფერის სახით დოლარებს გზავნიდნენ საქართველოში. დღეს მათთან თანამშრომლობა შეფერხებულია.
ლარის კურსის უფრო დაბალ ნიშნულზე დატოვება არა მგონია დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობისთვის ხელსაყრელი ყოფილიყო.
– რა მოხდება მომავალში, რა ეწყველება ლარს?
– ლარის კურსი იანვრის შუა რიცხვებიდან დასტაბილურდება.
საოცრად მძიმე იყო შავი პარასკევი მსოფლიო ბირჟაზე, შეიძლება ითქვას, მთელი ბირჟა „დავარდა“. ეს „შავი პარასკევი“ შეიძლება საქართველოს ორშაბათსა და სამშაბათს გაუთენდეს, თუმცა, ამაზე საქართველოში არავის გაუმახვილება ყურადღება.
ესაუბრა ია ჯღარაკაძე

ალიანსიანი

ზურაბ ჟვანიას ბარდასკალეის საქმეზე დაკავებული მიხეილ ძაძაძის პატიმრობიდან გათავისუფლება

ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ძაძაძის ადვოკატმა გელა ქენჭაძემ დაუდასტურა. მისი თქმით, ძაძაძის მოსამართლე ეკა არეშიძემ 2000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძაძის შემდეგი მუხლით დააკავა – სამსახურებრივი გულგრილობა, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა.

„საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძაძის დაკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად პრემიერ-მინისტრის და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა შესასრულებლად სავალდებულო „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის დაცვას არ შეეძლო, მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 3 თებერვალს, ლამის საათებში, ზ. ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მ. ძაძაძიმ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი გარდაცვლილი იპოვეს. ამავდროულად მიხეილ ძაძაძიმ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად არ შეატყობინა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ.

ზემოაღნიშნულით მ. ძაძაძიმ ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება. ამის საფუძველზე მიხეილ ძაძაძი 21 მარტს დააკავეს. ამასთან, ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე გათავისუფლებულია კიდევ ერთი პირი, ექსპერტი ლევან ჩაჩუა.

სულხან მოლაშვილი სამართლებრივი პროცესებში მოგვარებისთვის ემზადება



კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, ევროსასამართლოს გადანწყვეტილების საფუძველზე, სამართლებრივი პროცედურების მოგვარებას სავარაუდოდ მომავალი წლიდან დაიწყებს.

როგორც მოლაშვილის ძმამ, თორნიკე მოლაშვილმა განაცხადა, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე საქართველოში დეკემბრის ბოლოსთვის დაბრუნდება და შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს ამის შემდეგ დაიწყებს. სტრასბურგის სასამართლომ სულხან მოლაშვილი, კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი, ევროპული კონვენციის ოთხი მუხლით გაამართლა. კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის სულხან მოლაშვილის მიმართ ქართული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, გარდა წამების მიმართულებით ხელახალი გამოძიებისა, სააპელაციო სასამართლოშიც გასაჩივრდება. როგორც ცნობილია, სულხან მოლაშვილის მიმართ 2006 წელს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების ვადა, ევროსასამართლოს გადანწყვეტილებით, განსაზღვრულია 2015 წლის 23 ოქტომბრამდე. სააპელაციო სასამართლოში მოლაშვილის მხრიდან მოთხოვნილი იქნება მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება. რაც შეეხება წამების მიმართულებით გამოძიებას, ცნობილია, რომ აღნიშნულზე ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებამ აიღო და მიმდინარე პროცესებს მეთვალყურეობას გაუწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი. რაც შეეხება მუხლებს, რომელთა მიხედვითაც მოლაშვილი გამართლდა, მათი შინაარსი ასეთია – არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახვე მოპყრობას ან დასჯას, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სასამართლო განხილვის უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა. საქართველოს მთავრობას მოლაშვილისთვის 3 თვის ვადაში 20 ათასი ევროს ოდენობით კომპენსაციის გადახდა და 1 წლის ვადაში საქმის გამოძიება დაევალა. სულხან მოლაშვილმა სარჩელით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2004 წელს მიმართა.

© სიტყვა ერის გასაგონად

თავისუფლება ემზარ კვიციანს!

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ რუსეთს გადასცა ერის კუთვნილი ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკული ობიექტების უმეტესობა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით საქართველოში ტირანული, ნეკროფილიის ელემენტებით გაჯერებული სადისტიური და მჩაგვრელი რეჟიმი ჩამოაყალიბა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ კოდორის ხეობაზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო და ხეობის დამცველი განაიარაღა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ აფხაზეთს კოდორის ხეობა მიუერთა, სამხრეთ ოსეთი აღადგინა და მას ახალგაზრდა მიუერთა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ ცხინვალის დაბოძება, რითაც რუსეთს ხელი შეუწყო, რათა მას აფხაზეთისა და ჩრდილო ქართლის ოკუპაცია მოეხდინა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ დაამკვიდრა ველური პრინციპი „ნულოვანი ტოლერანტობა“ და „ყველანი ციხეში“.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ შემოიღო და დაამკვიდრა ციხეებში პატიმართა გამუდმებული წამება, მკვლელობა და გაუპატიურება, ხოლო ქუჩებში – მომიტინგეთა უმოწყალო ცემა და ახალგაზრდების სასტიკი მკვლელობა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ საქართველოს ისტორიული „ძმის“ ოცნების ასახდენად დედაქალაქის გადატანის პერსპექტივით პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ მიაჩუმათა თვითღიარებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის 2012 წლამდე საქართველოსათვის ძალზე საშიში მრავალი ხელშეკრულება.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ არამართლმადიდებელ რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება მიანიჭა, გახდნენ საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის თანაბარი საჯარო სამართლის იურიდიული პირნი.

– სააკაშვილმა და მისმა ბანდამ გააუქმა ან რეალური სამართლებრივი სტატუსის გარეშე დატოვა მსოფლიოში ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები და ინსტიტუტები.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ დაარბია და გაყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების 500-ზე მეტი ცნობილი მოღვაწე, რითაც 70-ს სიცოცხლე მოუსწრაფა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ ქარბმოსახლეობიანი ქვეყნებიდან ხალხის შემოსახლება-დასახლებით და მათთვის მოქალაქეობის მინიჭებით საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად გააუარესა.

– სააკაშვილმა და მის მიერ ორგანიზებულმა ბანდამ აჭარაში მეჩეთები გაამრავლა, 47 ათასი თურქი შემოასახლა, რომელთაგან 38 ათასს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ძალით: ორმაგი მოქალაქეობა ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე.



ზემოაღნიშნული ფაქტები დადასტურებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მთავრობების, მათ შორის, ევროკავშირის საგამოძიებო მისიის დასკვნებით, რაც მიუთითებს სააკაშვილისა და მის მიერ ორგანიზებული ბანდის მიერ 2004-2010 წლების მონაკვეთში საქართველოს სახელმწიფოს ლაღატის ჩადენას, და რაც საქართველოს მთავარ პრეზიდენტურას ამ ბრალდებით სისხლის საქმის აღძვრასა და გამოძიების ჩატარებას ავალდებულებს.

ამასთან, ზემოაღნიშნული მტკიცებულებანი თვალნათლივ მიუთითებს, რომ ემზარ კვიციანი და მისი გუნდი დროის შესაბამის მონაკვეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ და გარემოებათა პირობებში მოქმედებდა, რის გამოც ემზარ კვიციანი უნდა გამართლდეს და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს.

გიორგი სააკაშვილი, საგარეო უწყების დირექტორი

© ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია

„ჩემი თბილისი“ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის

28-ე ხელოვნების სკოლას უმასპინძლა. „ჩემი თბილისი“, – ასე ერქვა ლიტერატურულ-მუსი-

კალურ კომპოზიციას, რომელმაც კიდევ ერთხელ გააცოცხლა ძველი თბილისი და მისი ღირსებები. სცენარის ავტორი და მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ნათელა ასულაშვილი-ნატროშვილი.

„კომპოზიცია თბილისის კულტურულ ცხოვრებას აცოცხლებს. ეს უცხოელების თვალთშეპყრობის თბილისია, რა ინერგობდა თბილისზე, როგორი სტუმართმოყვარე ქალაქი იყო... რა ჭირ-ვარამი აღარ გადაიტანა, და მაინც ვმღერით და ვცეკვავთ. მაინც მოიტანა ინტერნაციონალური სული. ფინალში, რომელსაც „მე მიყვარს ჩემი თბილისი“ ჰქვია, მოსწავლეებმა 15-16 ქვეყანა წარმოადგინეს. ერთი სიტყვით, პატივი ვეცით თბილისს.“

კომპოზიციაში მთელი სკოლა იყო ჩართული (დირექტორი ხათუნა ანდლულაძე, სასწავლო ნაწილის გამგე თამილა თაბაგარი). საღამო ხალხური საკრავების ანსამბლმა (ხელმძღვანელი სოფიო ქირია) გააღამაზა.

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე ხელოვნების სკოლას დიდი ტრადიციები აქვს. უწინარესად, იგი განთქმულია საგუნდო სკოლით, მისი ვაჟთა გუნდით „ბიჭები“ (ხელმძღვანელი აჩიკო უშვერიძე).

სკოლამ მანამდე უამრავი საინტერესო ღონისძიება გამართა, რომელთაგან გამოირჩეოდა საქართველოს ყველა კუთხის ადათ-წესების ამსახველი საღამო. მოცარტის საიუბილეო თარიღი, სხვა თეატრალიზებული სპექტაკლები. მათგან უმრავლესი ქალაქის სახელოვნებო სკოლების ფესტივალებზე გამარჯვებული.

ნატა ნიზლაძე



© ალიანჯალიანი

სივრცითი მოქმედით სახალწლო პირობაშია!

შინაბან საქმეთა სამინისტრო, შობა-ახალი წლის დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას პირობაშია გამოყენების თაობაზე რეკომენდაციით მიმართავს.

სამინისტრო მოქალაქეებს მოუწოდებს, სივრცითი მოვლით სადღესასწაულო ასაფეთქებელ საშუალებებს, გამოიყენონ ის ინსტრუქციის მიხედვით და მოარიდონ პირობაშია არასრულწლოვანი პირები. როგორც შსს-ში აცხადებენ, აღნიშნული საშუალებების არასწორად გამოყენება ხშირად საფრთხილ შედეგებით – ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სრულდება.

კუფრითი გაზს, დაპირებით უსაფრთხოების წესები!

დეკემბრის თვეში გაზის გაწოდების შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 40-ით ინტოქსიკაციის კი 4 შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრიდან აცნობეს, 2014 წელს გაზის გაწოდების შედეგად 11 ადამიანი გარდაცვლილი, ინტოქსიკაციის შემთხვევა კი 24-ჯერ დაფიქსირდა, აქედან 3 მცირეწლოვანი.

თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით მოსახლეობას სივრცითი სივრცის წესების დაცვისკენ მოუწოდებს.

პედაგოგების გაწოდება სასწავლო პროცესში ჩაშალა

გუშინ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე, №195 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა. როგორც გაფიცულმა პედაგოგებმა განაცხადეს, მათ სკოლის დირექტორთან მარინა თოფურიასთან დაძაბული ურთიერთობა აქვთ. გაფიცული პედაგოგები აცხადებენ, რომ დირექტორი კონფლიქტური პიროვნებაა და მათი პროტესტი მხოლოდ დირექტორის მიერ მოადგილის მზია წეროძის გათავისუფლების ფაქტს არ უკავშირდება.

გაფიცვაში 54 პედაგოგი მონაწილეობდა. მათივე თქმით, სკოლის დირექტორმა მარინა თოფურიამ პარასკევს სამსახურიდან გაათავისუფლა მზია წეროძე. გაფიცული პედაგოგები აცხადებენ, რომ ეს არის ბოლო წვეთი იმისა, რასაც დირექტორი სკოლაში მისვლის დღიდან ბოლო 4 წლის განმავლობაში აკეთებს. მათივე ინფორმაციით, სკოლის დირექტორი უხეშად ექცევა პედაგოგებს და მათთან დაპირისპირება აქვს.

გაფიცული პედაგოგის ქეთევან ბოტკოველის თქმით, მათ განათლების სამინისტროში ხუთი წერილი გააგზავნეს და მოითხოვეს, სამინისტრომ დირექტორის საქმიანობა შეისწავლოს. მისივე თქმით, სამ პედაგოგს, მათ შორის, თავად ბოტკოველს, სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი და სკოლის დირექტორს მათ მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებების გამო უჩივის. ჩაშლილი სასწავლო პროცესის შესახებ მათ აცნობეს განათლების სამინისტროს და სამინისტროსგან მიიღეს რეკომენდაცია, რომ პედაგოგებისაგან შესული წერილებისა და დოკუმენტაციის შესწავლამდე სკოლაში სასწავლო პროცესი უნდა აღდგეს. პედაგოგები განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას ემორჩილებიან და დღეიდან სკოლაში სასწავლო პროცესი აღდგება.

ინტერპრესი

წვრილ-წვრილი საინტერესო ამბავი

ზამთარი საიდან ჩნდება ჟანგბადი?



ჟანგბადს გამოიმუშავენ ფოთლები. ზამთარში კი ხეებს ფოთლები აღარ აქვთ. ხომ არ ამოვიხსნობით სუფთა ჰაერის უქონლობის გამო? თუ ნაძვები და ფიჭვებიც გამოიმუშავენ ჟანგბადს?

ნიკა რცხილაძე, გორი.

ამ შეკითხვას მეცნიერები და ბუნებისმეტყველები ასე განმარტავენ:

მართლაც, მთელი ჟანგბადი ატმოსფეროში გაჩნდა ცოცხალი ორგანიზმების წყალობით. მაგრამ მას გამოიმუშავენ არა მხოლოდ ფოთლები, არამედ ზღვის მცენარეებიც (პლანქტონები, ლიქენები, მარცხენი) და იგივე წინვოვანები - ნაძვები, ფიჭვები, სოჭები. და თუ ფოთლოვანი მცენარეები ზამთარში ძირითადად მიცემული და მათში გაცვლითი პროცესები (მათ შორის სუნთქვა) შეწყვეტილია, წინვოვანები კვლავ სუნთქვენ, თუმცა, არც ისე ინტენსიურად.

ჰაერში ჟანგბადის შემცველობა სინამდვილეში არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ ხეები ჩამოყრიან ფოთლებს. ამ გაზს დედამიწის ატმოსფეროს მოცულობის 21 პროცენტი უკავია. ეს სიდიდე მუდმივია დროის ნებისმიერ დროსა და პლანეტის ნებისმიერ ადგილზე (მათ შორის, უდაბნოშიც, ტაიგაშიც, ანტარქტიდაშიც), ვინაიდან ჰაერის მასების გადაადგილება მეტად სწრაფად ხდება. ზამთარში კი ჟანგბადი იმ ჰაერში, რომლითაც ვსუნთქავთ, უფრო მეტიც კია, ვიდრე ზაფხულში. სიცხის გამო ჰაერი ხომ იკუმშება, ხდება უფრო მკვრივი, და მის ერთ კუბურ მეტრში დედამიწის ზედაპირზე ჟანგბადის მოლეკულების რაოდენობა იზრდება.

სად სსოვროვან

კურდღლები და ბოსკარები?

კურდღელი - ეს ველური ბოცვერია? გვეკითხება ერთ-ერთი მოსწავლე აბაშიდან.



ამ შეკითხვას უბასუხებს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ილინა ლიტინიშვილი:

კურდღლები და ბოცვერები ერთ-ერთი კურდღლისებრთა ოჯახს განეკუთვნებიან, ესე იგი ნათესავენი არიან, თუმცა, არც

მთლად მახლობელი. ბოცვერები მოცულობით უფრო პატარები არიან, მათი ყურები უფრო მოკლეა. არის სხვაობა თავის ქალის ძვლების აგებულებაშიც. კიდევ მეტი სხვაობაა მათი ცხოვრების წესსა და განვითარების პროცესში. ბოცვერები ცხოვრობენ განშტოებიან და ღრმა სოროებში, რომლებსაც თავად თხრიან. კურდღლები კი სოროებს არ იკეთებენ - თავშესაფარი მათთვის არის ჩალრმავები ბალახის ბურცების ქვეშ. ბოცვერების ბაჭები ჩნდებიან ამ ქვეყანაზე სრულიად არადასრულებული, შიშვლები, ბრმები და ყრუები. კურდღლის ბაჭები იბადებიან უკვე სქელი ბუნებებით, ღია თვლებითა და სმენითი არხებით. მათ თავიანთი ცხოვრების პირველივე დღიდანვე შეუძლიათ, დამოუკიდებლად დაემალონ მტაცებლებს.

ჩვენთან, საქართველოში, ბუნებაში ბოცვერები არ არიან. ბოცვერები - სამხრეთი ევროპისა და ჩრდილოეთი აფრიკის ბინადრები არიან.


მოკლად და სხად

რატომ ამბობენ ხოლმე „ნიანგის ცრემლებიო“ ნიანგები რა, ტირიან?

მაია, თელავიდან.

ღიბს. მათ თვალბინა ახლოს განთავსებული აქვთ განსაკუთრებული ჯირკვლები, საიდანაც სითხესთან ერთად ორგანიზმიდან გამოდის ჭარბი მარილები.

რისგან გვიყავს გული?



თაქო მახვილაძე, თიანეთი ელემტრული

იმპულსებისგან, რომელსაც თავადვე გამოიმუშავენ. ეს გულის კუნთის გარკვეულ მონაკვეთში ხდება. სიმშვიდის მდგომარეობაში გული ერთ წუთში 70-ჯერ გვიცემს. სიცოცხლის განმავლობაში კი იგი 250 მილიონ ლიტრ სისხლს გადაქაჩავს.

როგორია ყველაზე მანძილი დიანები?

თამარ ჩხიძე, რუსთავი.

შიშვლი და ნახევრად შიშვრად ყოფნა (კალორიულობის დაყვანა დღეში 1200 კილოკალორიის ქვემოთ) - აუცილებელი ნივთიერებების პროდუქტებს ორგანიზმი არა თუ არ აწარმოებს, არამედ ლეზიონებს მხოლოდ შემოსული საკვებიდან. მცირე ოდენობისგან ყველაფერი აუცილებლად მიღება შეუძლებელია.

იმ პრეპარატების მიღება, რომლებიც თრგუნავენ მადს, - ჯანსაღი ორგანიზმი გვაცნობებს თავის მოთხოვნილებებს შიმშილის გრძნობით. ასეთი პრეპარატების მიღების დროს ადამიანი ვერც იხსენებს მის საჭიროებას.

მონოდიეტები (1-2 პროდუქტის მოხმარება 1-3 დღის განმავლობაში) - არც ერთ თუნდაც სუპერ-პროდუქტში არაა 600 ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება.

ყოველგვარი განმნდები - სასაქმებელი და შარდმდენი საშუალებების, ოყნის და ა.შ. გამოყენება - სასარგებლო ნივთიერებები არა მხოლოდ არ შედის, არამედ, პირიქით, გამოდის (ძალადობრივად) ორგანიზმიდან.

ყურადღება!

2014 წლის 19 დეკემბერს (პარასკევს), 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებას გააკეთებს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

ზურაბ ხონელიძე


თემაზე: „სამხრეთ კავკასია - გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი)“.

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (აღ. ყაზბეგის გამზირი, 47, VI სართული) დასრულება თავისუფალია.

აპაფიის პრეზიუმი

ფოტოფაქტი

ნოემბრის ბოლოს პარიზში ეიფელის კოშკის მახლობლად მიტინგზე შეიკრიბნენ... ცხვრები. მწყემსებმა მორეკეს ცხოველები, რომ გამოეხატათ თავისი პროტესტი ახალ კანონთან დაკავშირებით, რომელიც გადაჭარბებულად იცავს მგლების პოპულაციას.



პასიენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ ინფორმაციაა...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 568 82-09-84..

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

- დედი, სამი მანეთი ვიბოვე! - ეუბნება სახლში დაბრუნებული გოგო დაშას. - ჯერ ერთი, კაბიდან თივის ღერები ჩამოიფერთხე, მეორეც, შენს ასაკში ბევრად მეტ ფულს ვბოულობდი, და მესამეც, ნურასოდეს ეცდები დედის მოტყუებას.

- მახატიმთ, ოლგა პეტროვნა, რამდენი წლის ბრძანდებით? - დედაჩემი ამბობს, რომ ოცდახუთმეტი წლისას ვგავარ. - როგორ, დედაც ცოცხალი გყავთ?

- ეძიე, რა გავაკეთო, არ ვიცი, ყოველწლიურად ვმობიარობ! - ორი წელიწადი არ დაწვეთ ქმართან. - ვცადე, მაგრამ არ გამაბრთლა.



* * * - კურდღელი, რას წერ ასე გამწარებით? - ეკითხება მგელი. - სადიპლომოს.

- რა თემაზე? - როგორ ჭამენ კურდღლები მგლებს. - შენ რა, მთლად გარევე? აბა, ერთი წამოდი, იმ ბურქებში შევიდეთ და ვნახოთ, ვინ ვის შეჭამს.

- კარგი, მაგრამ იმ ბურქებში კი არა, სხვა ბურქნარში შევიდეთ. შევიდნენ, იქ კი დათვია, რომელმაც სტაცა ხელი მგელს, დაგრიხა და კურდღელს გადასცა.

- დაიხსომე, მგელი, მთავარი თემა კი არ არის, არამედ ის, თუ ვინაა სამეცნიერო ხელმძღვანელი. * * * - დედი, იგი იკბინება! - ხომ გეუბნებოდი, არ დაქორწინდე-მეთქი...

ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მთიანეთი) პარკის ქ. 19 ინფორმაცია 66434

გამომცემლობა: uac(უაქ)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24